სადოქტორო პროგრამა
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
2016-2019

ა) სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
(Tourism and Hospitality Management)

ბ) მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ტურიზმის დოქტორი
(PhD in Tourism)

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 180 ECTS კრედიტი.

დ) პროგრამის ხელმძღვანელი – თსუ პროფესორი იოსებ ხელაშვილი

ე) სწავლების ენა – ქართული.

ვ) პროგრამის მიზანი
ტურიზმის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ტურიზმის სპეციალისტების მომზადებისა და უმაღლესი დონის მენეჯერული კომპეტენციების განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ პროგრამას. მისი მიზანია სტუდენტების მომზადება მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტებად ტურიზმის დინამიური და მზარდი ინდუსტრიისათვის. ბოლო წლებში, საქართველოში, სამოქალაქო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება–სრულყოფისათვის, მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება. ტურიზმის სფეროს განვითარება აღიარებულია ქვეყნის პრიორიტეტად. ამასთან, საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე შესაფერისი ადგილის დამკვიდრება მოითხოვს ამ სფეროს კომპეტენტურ კადრებს, რომელთა დეფიციტი ქვეყანაში საგრძნობია. ქვეყნის სტრატეგიული ამოცანა – ტურიზმის გეგმაზომიერი განვითარება და ამით ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში რეალური წვლილის შეტანა, საჭიროებს შესაბამის მხარდაჭერას თსუ–ს მხრიდან, რაც ეროვნული ტურიზმის ინდუსტრიისათვის მაღალ–კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებში გამოიხატება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი აკადემიური პროგრამა. სავარაუდო საკვლევი პრობლემები ეხება ტურიზმისა და მასპინძლობის ზეგავლენას (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ჭრილში), მის

წვლილს ეკონომიკურ ზრდაში, ტურიზმის მდგრად განვითარებას, კერძოდ ისეთ თემებს, როგორიცაა: საქართველოს ეკონომიკაში მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორის წვლილის დადგენა, საქართველოს ეკოტურიზმის ბაზრის განვითარების პერსპექტივები, კულტურული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში და ა.შ.

ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების სტანდარტები შეესაბამება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვა სადოქტორო პროგრამებს. დოქტორანტურაში სწავლის მსურველ ყველა კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბიზნესის, მენეჯმენტის, ტურიზმისა და მასპინძლობის აკრედიტებული ან მონათესავე პროგრამების მაგისტრის ხარისხი, ასევე დაიშვებიან მათთან გათანაბრებულ პირები. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტორანტობის კანდიდატს, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B 2 დონეზე და წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მისაღები კანდიდატები შეფასდებიან წარსული გამოცდილების, ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) და წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმოხილვის შედეგად კანდიდატებს შესაძლოა დასჭირდეთ დამატებითი საკურსო მოთხოვნების დაკმაყოფილება. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს, დადგენილი დოკუმენტებითურთ და გადის გასაუბრებას სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი კომისიის წინაშე.

თ) სწავლის შედეგი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ტურიზმის სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი კომპეტენციები:

1. <u>ცოდნა და გაცნობიერება:</u>
   1.1. ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის სისტემური, ტურიზმის გარემოსა და მართვის თეორიების, კონცეფციებისა და პრინციპების უახლეს მიღწევებზე დამყარებული სიღრმისეული ცოდნა;
   1.2. ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული და სტრატეგიული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეტალური ცოდნა;
   1.3. დეტალური ცოდნა ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ;
   1.4. არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
   1.5. გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ღონისძიებების გატარების გაცნობიერება.

2. <u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</u>
   2.1. ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს გამოკვლევის, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდების სრულად ფლობა;

2.2. კვლევის პროცესის გააზრების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი;
2.3. ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის უნარი;
2.4. ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა შემუშავების უნარი, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
2.5. ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება;
2.6. ტურიზმის განვითარების საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;
2.7. კომპლექსურ და გაუთვალისწინებელ, შესაძლოა განსაკუთრებულ კონტექსტში ოპერირების უნარი და საკითხების მოგვარების უნარი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
2.8. პროფესიულ პრაქტიკაში ინიციატივისა და პერსონალური პასუხისმგებლობის გამოვლენის უნარი;
2.9. უნარ–ჩვევების ადაპტირება, ახალ სიტუაციაში ახალი უნარ–ჩვევების შეძენა ან შემუშავება და სხვ.

3. <u>დასკვნის უნ არი</u>
3.1. განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობის უნარი, მათი შეფასება და კრიტიკული ანალიზი, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;
3.2. პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

4. <u>კომუნ იკაციის უნ არი</u>
4.1. ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში კომუნიკაცია კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან;
4.2. ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში ხელის შეწყობა ტექნოლოგიური, სოციალური და კულტურული წინსვლისათვის;
4.3. ეფექტიანად მუშაობა ჯგუფში, მის ლიდერად ან რიგით წევრად;
4.4. მოლაპარაკებების წარმოება და კონფლიქტების მოგვარება;
4.5. პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება;
4.6. ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

5. <u>სწავლის უნ არი</u>
5.1. საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლისა და პრაქტიკის საჭიროების განსაზღვრა;
5.2. დამოუკიდებლად სწავლის უნარი შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით, აქვს სხვების პროფესიონალიზმის გამოყენების უნარი, სადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია;
5.3. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან

პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

6. <u>ღირე ბულე ბე ბი</u>
   6.1. ახალი და კომპლექსური იდეების შეფასება, სინთეზი და კრიტიკული ანალიზი;
   6.2. ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
   6.3. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

ი) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: სასწავლო კომპონენტის კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის მეთოდები, კვლევის პერიოდში და სემინარზე მუშაობისას მიღებული ცოდნის გენერირება და სათანადო კონტექსტში მისი წარმოჩენა, დისკუსია/დებატები, დამოუკიდებელი მუშაობა, წერითი მუშაობის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრეზენტაცია, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა, დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავება, საჯარო დაცვა, კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით პრობლემების კვლევისა და პროგნოზირების მეთოდებით სარგებლობა და სხვ.

კ) ცოდნის შეფასების სისტემა პროფესორის

ასისტენტობა (15 კრედიტი)

1. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.
2. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვა "საბავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე. წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა და სხვა.
3. კრედიტების რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს ჩატარებული საათების რაოდენობაზე და იმ დროზე, რომელიც მოანდომა დოქტორანტმა შესრულებულ სამუშაოს.
4. კრედიტების მინიჭება შეიძლება მოხდეს შემდეგი პრინციპით: მაგალითად, თითოეულ ჩატარებულ საათს ემატება ოთხი საათი, ანუ პირობითად ის დრო, რომელსაც ანდომებს დოქტორანტი მისთვის მზადებას. დავუშვათ, დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში ჩაატარა 30 საათი. 30 + 120 = 150. 150 : 25 = 6 კრედიტი.
5. საათების რაოდენობას შეიძლება დაემატოს ის დრო, რომელიც დოქტორანტმა დაუთმო თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე პროფესორის და ასოცირებული პროფესორის) ლექციებზე დასწრებას პროფესიული სრულყოფის, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლების მიზნით. მაგალითად, თუ დოქტორანტმა სემესტრში ჩაატარა 30 საათი და დაესწრო სხვის მიერ ჩატარებულ 15 ლექციას, მაშინ კრედიტის მინიჭება მოხდება შემდეგი პრინციპით: 30 + 120 + 15 = 165. 165 : 25 = 7 კრედიტი.

6. კრედიტების რაოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს გასწორებული ნაშრომების რაოდენობაზე. მაგალითად, თითოეული ნაშრომის გასწორებას დოქტორანტი პირობითად ანდომებს 1 საათს. თუ მან გაასწორა 150 ნაშრომი, მას ამ საქმეზე დაუხარჯავს 150 საათი. 150 : 25 = 6 კრედიტი.
7. დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე (ფორმა 3).
8. პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია.

სემინარი (15 კრედიტი)

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის გაერთიანების შედეგად იქმნება სადოქტორო სემინარი, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები (კოორდინატორები), სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები; სემინარების რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება. სემინარის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. შესაძლებელია, შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სემინარები.
2. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია.
3. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით.

კოლოკვიუმი (20 კრედიტი)

1. კოლოკვიუმი არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. კოლოკვიუმების ზუსტ რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება. კოლოკვიუმის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.
2. დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კოლოკვიუმის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს. რეკომენდებულია, ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეგზავნოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს. შეფასებას ახორციელებს სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები.

საერთაშრისო რეცენზირებადი სტატია

1. სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას.
2. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
   2.1. შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.
   2.2. ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე

ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

2.3. მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

2.4. სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

2.5. შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

3. თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

დისერტაცია

1. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.
2. დისერტაციის წინასწარი შეფასება:
   2.1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს მინიმუმ ორ შემფასებელს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული წესით.
   2.2. თუ ორიდან ერთი შემფასებელი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო საბჭო ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს მესამე შემფასებელს.
   2.3. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
   2.4. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უფლება ეძლევა, დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე.
   2.5. დისერტაციის განხილვისა და შეფასების დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს დებულებით.
3. დისერტაციის შეფასება
   3.1. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
   3.2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:
      ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91%

და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

3.3. ამ მუხლის მე-3.2 პუნქტის "ა"-"ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

3.4. ამ მუხლის მე-3.2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

3.5. ამ მუხლის მე-3.2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

4. ხარისხის მინიჭება

4.1. დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

4.2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად – მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

4.3. დიპლომს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის რექტორი.

ლ) სასწავლო გეგმა

დოქტორანტს მოეთხოვება დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულება. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო და კვლევითი ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დაწერაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. დოქტორანტმა სწავლის და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტისა. დოქტორანტურის ხანგრძლივობა 3 წელია. დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, დანარჩენი (120 კრედიტი) ეთმობა კვლევას, მათ შორის დოქტორანტის 2 კოლოქვიუმს ეთმობა 40 კრედიტი და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას – 90 კრედიტი. დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ არსებული დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ დადგენილი წესით – თსუ–ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის № 215 დადგენილებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების“ და 2011 წლის 16 მარტის № 27/2011 დადგენილებით დამტკიცებული ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით (დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმის – ფორმა 1, დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის – ფორმა 2 და პროფესორის ასისტენტობის – ფორმა 3 ნიმუშები იხილე დანართში 1).

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

#	სასწავლო კურსი / აქტივობა	სტატუსი	ECTS
1	სწავლების მეთოდები	სავალდებულო	5
2	აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით)	სავალდებულო	5
3	სემინარი	სავალდებულო	15
4	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15
5	საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	10
6	დოქტორანტის I კოლოკვიუმი*		20
7	დოქტორანტის II კოლოკვიუმი*		20
8	სადისერტაციო ნაშრომი		90
9	სულ		180

*დოქტორანტი ვალდებულია ორჯერ მაინც წარდგეს საკათედრო კოლოკვიუმზე მოხსენებით.

მ) დასაქმების სფეროები

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულნი დოქტორის ხარისხით მზად იქნებიან დასაქმდნენ ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს საჯარო და კერძო სექტორების უმაღლეს პოზიციებზე, მათ შორის უმაღლეს მენეჯერულ პოზიციებზე, კვლევით პოზიციებსა და ლექტორებად უმაღლეს სასწავლებლებში.

ნ) დამატებითი ინფორმაცია

ტურიზმის კათედრა უქმნის დოქტორანტს პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს. ამ მიზნით, დოქტორანტს ეძლევა ფაკულტეტისა და თსუ–ს ბიბლიოთეკებითა და არსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესაძლებლობა კვლევის თემასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ასევე, დამატებითი ლიტერატურა (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები) მიეწოდება დოქტორანტს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კათედრის მატერიალურ–ტექნიკური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთდროულად არაუმეტეს 3 დოქტორანტის მიღება.

ო) პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

დოქტორანტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

საგრანტო პროექტი „საქართველოს ეკონომიკაში მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორის წვლილის დადგენა“ (98 ათასი ლარის ოდენობით) წარდგენილია ჩვენს მიერ 2012 წლის გრანტის მოსაპოვებლად შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. დაფინანსების შემთხვევაში დოქტორანტები ჩართული იქნებიან ამ პროექტში.

პ) პროგრამის ანალოგები

- Purdue University /USA/ - www.cfs.purdue/htm/graduate/phd_degree.html
- Virginia Tech University /USA/ - www.grads.vt.edu/graduate_catalog/program.htm
- Manchester Metropolitan University /UK/ - www.mmu.ac.uk/study/postgraduate/research/4041/

პროფ. იოსებ ხელაშვილი

დანართი 5

ფორმა 1

დოქტორანტის ინდივიდუალური კალენდარული გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

_____

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

_____

_____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____ _____

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება:

_____

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციონაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციონაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

ე)

კოლოკვიუმი	**დოქტორანტის მიერ ფაქტიური კრედიტების რაოდენობა**	**შეფასება**

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

_____

_____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

_____

_____

თარიღი: _____

დანართი 6

ფორმა 2

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

_____

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

_____

_____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სასწავლო კომპონენტი	კრედიტების მესამლო რაოდენობა	დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა	შენიშვნა

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

_____

_____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

_____

_____

თარიღი: _____

ფორმა 3

[illegible] შესრულებული სამუშაოს შესახებ [illegible]

დოქტორანტის სახელი და გვარი: ____________________

ფაკულტეტი: ____________________

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ____________________

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

____

____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

____

____

კონსულტანტი: ____________________

დოქტორანტურაში ჩარიცხვის თარიღი: ____________________

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: ____________________

შესრულებული სამუშაო	[illegible]	დოქტორანტის მიერ [illegible]	შენიშვნა

დოქტორანტის ხელმოწერა: ______________________

პროფესორის ხელმოწერა: ______________________

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის

მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: ______________________

თარიღი: ______________________